საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-437

08/06/2018

ქ. თბილისი

ქ. გარდაბანში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა (მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა (მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით) მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი, რომ სალიცენზიო ობიექტი (ორი ჭაბურღილი) მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში ქ. გარდაბანში მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ჰორიზონტალური რელიეფის მქონე ტერიტორიაზე. ჭაბურღილებს შორის მანძილი შეადგენს 80 მ-ს. მოსახლეობიდან დაშორებულია დაახლოებით 345 მ-ით. ჭაბურღილების სავარაუდო სიღრმეებია 100 მეტრი.

მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა შეადგენს 110 000 $მ^3$-ს წელიწადში, ხოლო სარგებლობის ლიცენზიის ვადა შეადგენს 25 წელს.

ტერიტორია შესწავლილია დეტალური ძებნითი სამუშაოების საფუძველზე. როგორც გეოსაინფორმაციო პაკეტშია აღნიშნული, მეოთხეული ნალექების წყალშემცველი კომპლექსის კვების ძირითად წყაროს წარმოადგენს ატმოსფერული ნალექები და მდინარის წყლები. აღნიშნული მიწისქვეშა წყლების გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.

სალიცენზიო ჭაბურღილების ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ წელიწადში შესაძლებელია 110000 $მ^3$ წყლის მიღება. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

გეოსაინფორმაციო პაკეტში წარმოდგენილი დასკვნის თანახმად №1 ჭაბურღილი საჭიროებს ე.წ. თავმორთულობის მოწყობას.

აღნიშნული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილები წარმოადგენს არსებულ ობიექტებს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო არ არსებობს, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. რადგანაც ტერიტორია წარმოადგენს უკვე ათვისებულს, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ჭაბურღილებთან ახლოს არ მდებარეობს რაიმე ინფრასტრუქტურული ობიექტები.

№1 ჭაბურღილის მიწისზედა ინფრასტრუქტურის (ჭაბურღილის თავმორთულობა) რეაბილიტაციის ეტაპზე ადგილი ექნება მცირე რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნას, თუმცა ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის და ნარჩენების რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე, საპროექტო ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტის დაშორების გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

აღნიშნული საქმიანობა არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკს. საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეების ძეგლი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილი სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა (მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი